

ლივან ბრიბაძე (საქართველო)

ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში

„კავკასიური ბიბლიოთეკის“ მე-13 ტომად პოპის გამომცემლობამ (ლუდ-ვიგსბურგი, გერ) 2016 წელს გერმანულ ენაზე გამოსცა „ქართული ლიტერატურის მოკლე შესავალი“, მომზადებული შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ (გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით). წიგნის სხვადასხვა ნაწილის ავტორები არიან **მაკა ელ-ბაქიძე, გაგა ლომიძე, ირმა რატიანი, მარინე ტურაშვილი, მირანდა ტყემელაშვილი**. მათ მიერ შესრულებული მონაკვეთების ერთი ნაწილი ქართულიდან გერმანულად **მანანა პაიჭაძემ** თარგმნა, ხოლო მეორე – **მაია ლიზოვსკიმ (გვიშიანმა)**. ირმა რატიანის წინათქმიდან ვგებულობთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაც „ქართული მწერლობის როლი და ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში“, და მისი მიზანია „ქართული მწერლობითა და ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელ მკვლევრებსა და მკითხველებს შესაძლებლობა მისცეს თვალი მიადევნონ ქართული ლიტერატურის განვითარების ცალკეულ ეტაპებს, ლიტერატურისა, რომელიც იზოლირებულ სივრცეს კი არ წარმოადგენს, არამედ მსოფლიო კულტურის ნაწილია“.

ნაშრომი, რომელშიც მთელი ჩვენი მწერლობა არის მიმოხილული, რამდენიმე ათეული წლის წინ გერმანელმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმაც დაწერა და ჯერ საქართველოში გამოსცა (1981), ხოლო შემდეგ გერმანიაში (1993) სახელწოდებით „ქართული ლიტერატურა“. ოლონდ ჰ. ფენრიხის წიგნი უფრო პროფესიონალ ლიტერატორთათვის არის განკუთვნილი, ხოლო „ქართული ლიტერატურის მოკლე შესავალი“, რომელიც ტექსტთა ნიმუშებსაც შეიცავს და ვიზუალური მასალის სიუხვითაც გამოირჩევა, ლიტერატურის მოყვარულ მკითხველთა ფართო წრის ინტერესსაც დაიმსახურებს და კარგი გზამკვლევის როლს შეასრულებს ფრანკფურტის 2018 წლის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იქნება წარმოდგენილი.

* * *

სარეცენზიო წიგნის ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილება; მისი სხვა ღირსება კი ეს გახლავთ: ყველა ავტორის მიერ დანერგილი ყველა თავი გამოირჩევა საშური კომპაქტურობით, მაღალინფორმაციულობით, თხრობის ნათელი სტილით.

პირველ თავშივე, რომლის სათაურია „საქართველო საზღვარგარეთელ ავტორთა თხზულებებში“ (ავტორი მირანდა ტყემელაშვილი) წარმოდგენილია უმ-

თავრესი ორიენტირი, რომელიც ევროპელ მკითხველს მყისვე შეუქმნის წარმოდგენას იმ ქვეყნის ადგილმდებარეობასა და იმ ხალხის წარმომავლობაზე, რომლის ლიტერატურის ისტორიასაც იგი ამ წიგნში უნდა გაეცნოს – და ეს ორიენტირი გახლავთ არგონავტების საყოველთაოდ ცნობილი თქმულება, მათი თავგადასავალი კოლხეთში – ოქროს საწმისი, აიეტი, მედეა. ამას მოსდევს შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, კასტელისა და სხვა ევროპელ მოგზაურთა წიგნებზე საუბარი, რომლებიც ძველი საქართველოს შესახებ მოგვითხრობენ, აგრეთვე ინგლისელი და იტალიელი დრამატურგების იმ თხზულებათა მიმოხილვა, რომელთა პროტაგონისტები ქართველები არიან; ცხადია, დავინწყებული არ არის არც მე-17 საუკუნის გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“.

არგონავტებზე თხრობა გრძელდება მომდევნო თავშიც, რომლის სახელწოდებაა „ქართული ზეპირსიტყვიერება მსოფლიო მითოლოგიის კონტექსტში“* (ავტორი მარინე ტურაშვილი). აქ უფრო მეტია ნათქვამი ამ თქმულების პერსონაჟთა შესახებ (მაგრამ კვლავაც კომპაქტურად, ზედმეტსიტყვაობის გარეშე!), განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველის, კოლხეთის მეფის, აიეტის, ასულის, მედეას, თავგადასავალს, რომლის ტრაგიკულ ხვედრს აღწერდნენ უგამოჩენილესი პოეტები (დასახელებულია აპოლონიოს როდოსელი და ევრიპიდე), რომელსაც ხატავდნენ სახელგანთქმული ფერმწერები (ამ თავს ახლავს როკოკოს ხანის ფრანგი მხატვრის ჟან-ფრანსუა დე ტრუასა და ფრანგული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის ეჟენ დელაკრუას ნახატთა ფრადი რეპროდუქციები – პირველზე მედეა და იაზონი არიან გამოსახულნი, მეორეზე ვხედავთ მედეას შვილებთან ერთად).**

ჩვენი ამირანისა და ბერძნული მითოლოგიის კეთილშობილი გმირის, პრომეთეს, შედარებითი დახასიათებაც საგულისხმო უნდა აღმოჩნდეს უცხოელისთვის, მით უფრო, რომ ორივენი კავკასიის მთებში, ანუ პირველი მათგანის სამშობლოში, იხდიდნენ დაუმსახურებელ სასჯელს.

ქართული ენისა და ანბანის ამბავს მოგვითხრობს წიგნის ის თავი, რომლის სათაურია „ქართული მწერლობის საწყისები“ (ავტორი მაკა ელბაქიძე). აქ მკითხველი იხილავს უძველესი ქართულ წარწერების ფოტოებს, გაეცნობა ქართული ანბანის სამივე სახეობას, მათი გამოყენების სფეროებს და ქართული ანბანის წარმოშობის ვერსიებსაც; შეიტყობს ღირსშესანიშნავ, ძნელად დასაჯერებელ ამბავს: მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო გზაჯვარედინზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ხალხს, დიდი და აგრესიული იმპერიების მხრივ უძლიერესი კონკურენციის პირობებში, მოუხერხებია და შეუნარჩუნებია არამარტო ძირითადი ნაწილი სამშობლო ქვეყნის ტერიტორიისა, არამედ თავისი ენაც და, რაც მთავარია, ანბანი, დამწერლობა, რისი ქონის არავითარი „მწვავე“ საჭიროება არ არსებობს,

* ამ სათაურის თარგმანში და შემდგომ ტექსტშიც პლენონაზმი გვაქვს: „Die mündliche georgische Folklore...“ – „ზეპირსიტყვიერი ქართული ფოლკლორი...“. უნდა იყოს: „Georgische Volksdichtung...“.

** ერთგან (გვ. 25) ვკითხულობთ, „მედეა“ ბერძნულად „ბრძენ ქალს“ (weise Frau) ნიშნავსო. ეს სახელი გერმანულად ტრადიციულად ითარგმნება როგორც „die Ratwissende“ (დაახლოებით: რჩევის/ჭკუის საკითხავი ქალი) და კარგი იქნებოდა, ასევე დარჩენილიყო.

თუ გავითვალისწინებთ რამდენი ხალხი იყენებს სხვის ანბანს საკუთარ ენაზე გამოთქმული აზრების ჩასაწერად. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: დაუოკებელი სწრაფვა ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ, ძველთაგანვე პატრიოტიზმის არაჩვეულებრივად მძაფრი გრძნობის არსებობა ამ ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენაში.

როცა საქართველოს არმცნობი უცხოელი მკითხველი ზემოთქმულს გაიცნობიერებს, მას ბუნებრივად გაუჩნდება ასეთი შეკითხვა: ამ ორფა „გალავნით“, ენითა და ანბანით, „შემოღობილი“ მწერლობა თავის თავში ჩაკეტილი, უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის მოშიში ხალხის მიერ ხომ არ არის შექმნილი? ამ ეჭვს სავსებით გაფანტავს ყველა სხვა თავი ამ წიგნისა, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოს ურთიერთობების შესახებ სხვა ქვეყნებთან, ქართული კულტურის ძველი თუ ახალი დროის მოღვაწეების კავშირებზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ცენტრებთან.

სარეცენზიო წიგნში საგანგებოდ არის აქცენტირებული ქართველი მწერლების სწრაფვა ევროპისკენ, თუმცა წარმოჩენილია აგრეთვე აღმოსავლური მწერლობის როლიც ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესში. სწორედ ეს გარემოება, დასავლურ-აღმოსავლური მოტივებისა და გამომსახველობითი ფორმების ორგანული სინთეზი, ქმნის ქართული ლიტერატურის ორიგინალურ პროფილს, რაც ამ წიგნის წამკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩება, ვინაიდან სწორედ დასავლურ-აღმოსავლური ტენდენციების ჭიდილისა და ურთიერთგანმსჭვალვის თაობაზე შთამბეჭდავად მოგვითხრობენ მისი ავტორები.

ეს თავისებურება, სპეციფიკა, ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიას ერთობ სასურველ დინამიკას სძენს (თუ ჰმატებს), ხოლო ზოგ მის ეპიზოდს ისეთი დრამატიზმით აღავსებს, რომელიც დაძაბულებით მძაფრსიუჟეტიან მოთხრობას არ ჩამოუვარდება.

თავები „ქრისტიანობა და ქართული კულტურა“ და „ძველი საქართველოს საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრები“ (ორივე მაკა ელბაქიდის დაწერილია) მკითხველს მდიდარი ქართული სასულიერო მწერლობის ისეთ შედეგებზე მოუთხრობს, როგორცაა „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, გვიამბობს იმ გაცხოველებულ ლიტერატურულ საქმიანობაზე, სირიის, პალესტინის, ეგვიპტის, საბერძნეთისა თუ ბულგარეთის ტერიტორიებზე დაარსებულ ქართულ მონასტრებში რომ მიმდინარეობდა, შემდეგ კი – მეორე იერუსალიმად და ახალ ათინად წოდებულ გელათშიც, სადაც უცხოეთში განსწავლული ქართველი ფილოსოფოსები არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი მოღვაწეობდნენ, და საქმეში ჩახედული უცხოელი მკითხველი უთუოდ მიხვდება, რაოდენ აუცილებელია ქართული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა ევროპულ შუა საუკუნეებზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად.

დასავლურ-აღმოსავლური კულტურული ნაკადების ნაყოფიერი შერწყმის თაობაზე მოგვითხრობს თავი „ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობა: ისტორიულ-ლიტერატურული წინაპირობები“ (მაკა ელბაქიძე). მთლიანად ევროპული ყაიდისა იყო ქართული მწერლობა (ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია) მე-12

საუკუნის მე-2 ნახევრამდე, ვიდრე ჩვენს მწერლობაში საერო ლიტერატურის ნიმუშები გამოჩნდებოდა. საერო ლიტერატურის გაჩენის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა კი დიდი სპარსული ლიტერატურით გატაცება იყო. ქართული რენესანსის ამ სპეციფიკის თაობაზე სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ:

„როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ბევრი იყო ისეთი ქვეყანა, რომელსაც მდიდარი ზეპირსიტყვიერება და სასულიერო ლიტერატურა ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლეს განეციტარებინათ საერო მწერლობა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმისი მიზეზი, რომ საქართველოში მაინც გაჩნდა საერო მწერლობა? უეჭველია, რომ პირველ ყოვლისა ეს განაპირობა საქართველოს კულტურულმა კონტაქტებმა არა მარტო ქრისტიანულ ბიზანტიასთან, არამედ აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებთანაც. იმის მიუხედავად, რომ ქართველები პოლიტიკურად, რელიგიურად და იდეოლოგიურად სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ, ეს განსხვავებანი არასოდეს ქცეულა ამ ქვეყნებთან კულტურულ ნიადაგზე გაჩაღებული ბრძოლის საფუძვლად. არსად ისე არ იყვნენ აღტაცებული ფირდოუსით და არსად ისე არ აფასებდნენ მას, როგორც საქართველოში; გვიან შუა საუკუნეებში ქართველებს სპარსელები მიაჩნდათ მხატვრული ლიტერატურის ოსტატებად. (...) ოღონდ სპარსული ლიტერატურით აღფრთოვანება არასოდეს ქცეულა მონურ მიმბაძველობად. პირიქით: საქართველო იქცა შუამავლად მუსლიმურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის“.

ქართული ლიტერატურისა და, საზოგადოდ, კულტურის ეს თავისებურება, რაზედაც ამ ფრაგმენტშია ყურადღება გამახვილებული, დღეს, როდესაც ესოდენ გამწვავდა პოლიტიკური და კულტურული დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, განსაკუთრებით ყურადსაღები და საგულისხმო ჩანს.

დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციების ქართულ ნიადაგზე შერწყმის პროცესზე საუბარი გრძელდება რუსთაველისა და მისი პოემისადმი მიძღვნილ თავში (ავტორი მაკა ელბაქიძე). აღმოსავლური ლიტერატურის შემოქმედებითა ათვისებამ, მისმა შეთავსებამ დასავლური ლიტერატურიდან მომდინარე ტენდენციებთან, წარმოშვა რუსთაველის პოემა, რომელშიც „აღმოსავლეთი და დასავლეთი ხვდება ერთმანეთს. ერთმანეთს ხვდებიან ფირდოუსისა და პლატონის, ნიზამი განჯელისა და დიონისე არეოპაგელის სამყაროები“, ვკითხულობთ სარეცენზიო წიგნში. ეს გარემოება განსაკუთრებული საერთაშორისო ღირებულების მქონე ლიტერატურულ მოვლენად აქცევს „ვეფხისტყაოსანს“, რაც მკაფიოდ არის წარმორჩენილი ამ თავში, რომელიც ასე მთავრდება: „თუმცა რენესანსის ეპოქა ევროპაში „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან ერთნახევარი საუკუნის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რუსთაველმა თავისი ტალანტითა და განსწავლულობით დროს გაუსწრო. მან წამოჭრა პრობლემები, რომლებმაც ევროპაში მხოლოდ მე-14 საუკუნეში შეიძინა აქტუალობა“.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი თავის სათაურია „შოთა რუსთაველი და მისი ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ და იგი შემდეგი ქვეთავებისგან შედგება: „რუსთა-

* პოემის სათაური აქაც და შემდგომაც ასეა წარმოდგენილი: „Der Recke im Pantherfell“, ოღონდ სხვა საკითხისადმი მიძღვნილ თავში ასეთი სახითაც გვხვდება: „Der Recke im Tigerfell“ (გვ. 109). საჭირო იყო ამათი უნიფიცირება. ბარემ აქვე ვთქვათ: უნიფიცირებას საჭიროებს აგრეთვე ქართული დამწერლობის აღმნიშვნელი ტერმინის „მხედრულის“ თარგმანიც, რომელიც ხან Ritterschrift-ად – „რაინდულ დამწერლობად“ – იხსენიება (გვ. 34), ხანაც Reiterschrift-ად – „მხედრების დამწერლობად“ (გვ. 35).

ველის ეპოქა“, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები“, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები“, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი“ (აქ ყურადღება სავსებით მართებულად არის გამახვილებული პოემის სიუჟეტის სათავგადასავლო მხარეზე: „რა არის მიზეზი რუსთაველის პოემის ამგვარი პოპულარობისა? უნინ-არეს ყოვლისა დაძაბული სიუჟეტი, კრიმინალური რომანის მსგავსი“. შეიძლება და აქვე თქმულიყო აგრეთვე პერსონაჟთა ქმედებების ფსიქოლოგიურად მოტივირებულობის თაობაზე, რაც მოგვიანო ხანის ევროპული მწერლობისთვის არის ნიშანდობლივი).

ერთობ მკაფიო წარმოდგენას შეიქმნის უცხოელი მკითხველი ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და მწერლობის ზემოაღნიშნულ სპეციფიკაზე იმ თავში, რომლის სათაურია „მეფეთა პოეზია“ (ავტორი მაკა ელბაქიძე). ყურადღებას იქცევს ამ თავის კომპოზიცია: მასში მეფე-პოეტების თეიმურაზ I-სა და არჩილის ცხოვრებისა და შემოქმედების პარალელური თხრობაა წარმოდგენილი. ჯერ ხაზგასმულია დრამატული წინააღმდეგობა თეიმურაზის ანტიირანულ საგარეო პოლიტიკასა და მისსავე სპარსოფილურ კულტურულ ორიენტაციას შორის, მერე კი – თეიმურაზის სპარსოფილურ კულტურულ ორიენტაციასთან არჩილის მკვეთრი დაპირისპირება რაც უმნიშვნელოვანეს თემატიკურ ცვლილებებში გამოიხატა: „სპარსული ზღაპრობანი“ (ეს გამოთქმა მარჯვედ არის თარგმანში გადატანილი: „Tratsch-Märchen“) არჩილმა „მართლის თქმის“ პრინციპით („Das Prinzip, die Wahrheit zu sagen“), ანუ პოეტური ნონფიქშენით ჩაანაცვლა.

მომდევნო თავი (ავტორი ირმა რატიანი) ასეა დასათაურებული: „ქართული ლიტერატურა და ევროპული კულტურა (მე-16-18 საუკუნეები)“, ხოლო ქვესათაურია „ლტოლვა ევროპისკენ“. აქ მოგვითხრობენ იმ სამი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლებიც ბიოგრაფიულადაც იყვნენ დაკავშირებულნი ევროპასთან. ესენი არიან სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ბესიკ გაბაშვილი.

მათი შემოქმედება, აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციებთან მიმართების თვალსაზრისით, ასეა დახასიათებული:

„სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ არის „ნაწარმოები, რომელიც განმანათლებლობის ევროპული ფილოსოფიის მიხედვით არის დანერგილი. [...] მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებისთვის არც აღმოსავლური ლიტერატურული სტილია უცხო“;

„ბესიკ გაბაშვილის პოეზია მკაფიოდ მიუთითებს ქართული მწერლობის ლტოლვას ლიტერატურის როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური ფორმებისადმი. მეცნიერები მის პოეზიაში ბაროკოს კვალსაც ამჩნევენ“;

„ევროპული აზროვნების სიღრმეებს ვხვდებით აგრეთვე დავით გურამიშვილის თხზულებებში. მისი „დავითიანი“ გაჟღერებულია განმანათლებლობის მსოფლმხედველობით, თემებითა და ჟანრებით“.

მომდევნო თავის სათაურია „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა – მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი“ (ავტორი ირმა რატიანი). ეს არის ადრეული შუა საუკუნეების შემდეგ ყველაზე „ევროპული“ ხანა ჩვენი მწერლობისა – რომატიზ-

მისა და მისი მომდევნო კრიტიკული რეალიზმის ხანა. ქართველ რომანტიკოსებს (ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს) და რეალისტებს (ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგს...) გაიცნობს აქ უცხოელი მკითხველი.

რუსული ანექსიის დასაწყისის ქართველ მწერალთა დაბნეულობას, მათ ორჭოფობას ერთმორწმუნე დამპყრობლის მიერ კავკასიაში განხორციელებული პოლიტიკის მიმართ, კარგად წარმოაჩენს მიჯრით დასმული ეს შეკითხვები:

„რა როლი რჩებოდა საქართველოს შესასრულებელი ისტორიაში? რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირს? საერთოდ, შეეძლო კი ამას რაიმე სარგებლობის მოტანა?“

ამკარაა ქართველ რომანტიკოსთა ევროპული ორიენტაცია (საზოგადოდ, რომანტიზმი ევროპული მოვლენაა, ევროპულობის ნიშანია!), მაგრამ აქვე ლაპარაკია აღმოსავლურ ელემენტზეც მათ შემოქმედებაში (მეტადრე ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში), რაც არაეის გააკვირვებს, რადგან ცნობილია დიდი ევროპელი რომანტიკოსების დაინტერესება აღმოსავლეთით (აქ საკმარისია ბაირონის აღმოსავლური პოემები გავიხსენოთ).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია წიგნში განხილულია როგორც ევროპული რომანტიზმის ნაწილი: „ქართველი რომანტიკოსი გრძნობდა თავის ნათესაობას კიტსთან, შელისთან, ბაირონთან, მიცკევიჩთან და ლერმონტოვთან. [...] განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბარათაშვილი რომანტიზმის ერთ-ერთ უმთავრეს თემას – ეროვნული თვითშეგნების აღდგენას. [...] ბარათაშვილის პოეზია ადასტურებს, რომ რომანტიზმი მსოფლიო მასშტაბის მოვლენაც შეიძლება იყოს და ნაციონალურიც“.

ასევე ევროპული (შეიძლება ითქვას, მეტისმეტად ევროპული) ლიტერატურული მიმდინარეობა იყო კრიტიკული რეალიზმიც. ამის ნათელი ნიმუშია ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება, რომლებიც მან უნაშთოდ მშობელი ქვეყნის ევროპეიზაციას უძღვნა. რამდენიმე წინადადებით სხარტად არის დახასიათებული მისი ერთ-ერთი შედეგის მნიშვნელობა ქართველებისთვის: „მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ მან შექმნა დუვინყარი პერსონაჟი ლუარსაბ თათქარიძე, გულკეთილი [...], მაგრამ ზარმაცი, მცონარა და პარაზიტი ადამიანი. [...] ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი გზა იმ ბრძოლაზე გადის, რომელსაც თათქარიძე და მისი მსგავსნი ვერასოდეს მოიგებენ“.

ხოლო ვაჟა-ფშაველას გრანდიოზული მწერლური ფიგურისა და თანამედროვე მსოფლიოსთვის მისი შემოქმედების მნიშვნელობის წარმოსაჩენად ინგლისელი ქართველოლოგის დონალდ რეიფილდის გამონათქვამია მოშველებული: „ვაჟა-ფშაველა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მწერალია, ვიდრე ვინმე სხვა საქართველოში“.

ზემოთ უკვე ვთქვით, თუ რაოდენ საჭიროა ქართული შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა ევროპულ შუა საუკუნეებზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენებურ ავანგარდზეც.

მას შემდეგ, რაც 1982 წელს ვენეციაში იტალიელი ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტოს ინიციატივით გამოიცა ფუნდამენტური ნაშრომი „ავანგარდიზმი თბილისში“, სავესებით ცხადი გახდა, რომ მეოცე საუკუნის დამდეგს მსოფლიო ავანგარდიზმის ერთ-ერთ ცენტრს ჩვენი დედაქალაქი წარმოადგენდა.

სწორედ ამის თაობაზეა თხრობა თავში, რომლის სახელწოდებაც „ქართული მოდერნი“ (ავტორი გაგა ლომიძე) და ნაწილობრივ მომდევნო თავშიც – „ქართული ლიტერატურა საბჭოთა ხანაში“ (ავტორი ირმა რატიანი):

„მე-20 საუკუნის 10-20-იან წლებში თბილისში თავი მოიყარეს ხელოვანებმა და მწერლებმა მთელი მსოფლიოდან. [...] შეიძლება თამამად ითქვას, რომ თბილისი ერთ-ერთი ავანგარდისტული ცენტრი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და რუსეთის რეგიონში“;

„აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქის ქართველმა პოეტებმა მოდერნის იდეის მეშვეობით ბიძგი მისცეს ქვეყნის გადაქცევას ახალი კულტურის ცენტრად. თბილისში დულდა პოეტური ცხოვრება. ქალაქი მასპინძლობდა ევროპისა და რუსეთის მოდერნისტებს. ქართული მოდერნი ევროპული ლიტერატურული პროცესების თანამონაწილე გახდა“.

ქართველ სიმბოლისტებზე, ფუტურისტებზე და დადაისტებზე, მათ პერიოდულ გამოცემებზე („ცისფერი ყანწები“, „H₂SO₄“), ნიკო ფიროსმანზე, ქართულ იმპრესიონიზმსა და ექსპრესიონიზმზეა თხრობა ამ ნაწილში, ხოლო წიგნის ბოლო თავი, რომლის სახელწოდებაცაა „პოსტსაბჭოური ქართული ლიტერატურა გლობალიზაციის პირისპირ“ (ავტორი გაგა ლომიძე), არსებითად ქართული პოსტმოდერნიზმის მოკლე მიმოხილვას წარმოადგენს.

ზემოთ ვენეციაში გამოცემული კრებული ვახსენეთ – „ავანგარდიზმი თბილისში“. იქ გამოქვეყნებულ სტატიაში იტალიელი ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტო წერს, რომ თანამედროვე ევროპული გადასახედიდან საქართველო მოიაზრება როგორც „ხიდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“. შესაძლოა ამ წიგნის ნამკითხველსაც გაუელვოს თავში ამავე აზრმა. ეს მით უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, თუკი იმ ნაწილში, რომელიც ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდიზმზე მოგვითხრობს, დავიმონებდით ტიცციან ტაბიძის ცნობილ სტრიქონებს: „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, / ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს“.

* * *

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა.

წიგნში არაფერია ნათქვამი სალიტერატურო კრიტიკაზე. ილია ჭავჭავაძეზე საუბარიც კი ისე მთავრდება, ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები მისი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.

დასაზუსტებელია ზოგიერთი ქართული თხზულების სათაურის გერმანული თარგმანი. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ გერმანულად „Gast und Gastgeber“ იქნება და არა „Der Gastfreund“ (გვ. 117), რაც „სტუმართმოყვარეს“ ნიშნავს; ოთარ ჩხეიძის რომანის სათაური „ბორიაცი“, რაც „ნისლის“ სინონიმია, უთარგმნელად არის დატოვებული („Boriaqi“, გვ. 150); არჩილის „საქართველოს

ზნეობანი“ გერმანულად იქნება „Georgiens Sitten“ და არა „Die Moral Georgiens“, როგორც ამას 97-ე გვერდზე ვკითხულობთ; „ჯაყოს ხიზნები“ „Dshaqos Flüchtlinge“ (გვ. 134) კი არ იქნება (Flüchtling ლტოლვილია), არამედ „Dshaqos Schützlinge“, როგორც ეს ჰაინც ფენრიხთან არის.

ზოგჯერ არასწორად არის დასახელებული ნაწარმოების ჟანრი. მაგალითად, მოთხრობები – ანა მხეიძის „არჩევანი“ და ლაშა ბუღაძის „პირველი რუსი“ რომანებად არის გამოცხადებული (გვ., გვ. 151, 162), ხოლო პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ – ნოველად (გვ., გვ. 144, 145).

თემიურაზ I-ის „ქეთევანიანზე“ ნათქვამია, რომ პირველად ამ ნაწარმოებში აისახა ქართული რეალობა (გვ. 94), მაშინ, როდესაც ქართული რეალობა კარგად ჩანს ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა, / არარას არგებს, ოდეს თვისება / ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“ ასეა თარგმნილი: „Dem Staat nützt die Einheit der Nationen nichts, wenn die Eigenschaften der Nationen in sich sehr unterschiedlich sind“ (გვ. 112); ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვის (Nationen) ნაცვლად უნდა იყოს „Religion“.

ქრისტეს კვართი (პერანგი), რომელიც მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ მცხეთაში ჩამოიტანეს ებრაელებმა, 36-ე გვერდზე თარგმნილია როგორც „der Epitaphios (das Grabtuch Christi)“, რაც სუღარაა და არა კვართი (შდრ. ტურინის სუღარა). მის ნაცვლად უნდა იყოს Hemd ან Untergewand („ქართლის ცხოვრების“ გერტრუდ პეჩისეულ თარგმანში არის Gewand); წმინდა ხატი (ივერიის ღვთისმშობლისა) ასეა თარგმნილი: „reine Ikone“ (გვ. 60). უნდა იყოს „heilige Ikone“.

არის რამდენიმე უხერხული კორექტურული შეცდომა: ელენე დარიანის ნაცვლად – ელენე დევდარიანი (გვ. 122), გოლოვინის პროსპექტის ნაცვლად – გელოვანის პროსპექტი (გვ. 124), „geflügelte Worte“-ს მაგივრად – „geflügelte Wörter“ (გვ. 157) და სხვ.

Levan Bregadze
(Georgia)

Georgian Writing in the Context of World Literature

Summary

Key words: Georgian Writing, World Literature.

The publication of Pop publishing house (Ludwigsburg) of the thirteenth volume of „Caucasian Library“ in 2016 issued in German „Brief Introduction to Georgian Literature“ prepared by the co-workers of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature (it was published by the support of the National Center of Georgian Book). The authors of different parts of the book are Maka Elbakidze, Gaga Lomidze, Irma Ratiani, Miranda Tkeshelashvili, Marine Turashvili.

From the introduction by Irma Ratiani we learn that the book was prepared in the frameworks of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature whose name is „the role and place of Georgian Literature in the world literature“ and whose aim is „to give an opportunity to the foreign researchers and readers interested in Georgian writing and culture so that they can learn more about certain stages of the development of Georgian literature, which is not an isolated space but an integral part of the world culture“.

One of the main values of the book is that here Georgian writing is considered in the context of the world literature; another advantage of it is the fact that each part of the book stands out for being compact, highly informative with a very clear style of narration.

In the book under review striving of Georgian writing towards Europe is highly accented yet the role of eastern writing is presented too – its role in the process of development of Georgian literature. So, the organic fusion of western-eastern motifs and representative forms creates an original profile of Georgian literature, which will be vivid to the reader.

The chapter titled „The Origins of Georgian Secular Literature: Historical-Literary Preconditions“ tells us about the streams of an effective fusion of western-eastern cultures. Georgian writing (hagiography and hymnography) was entirely of an European style until the second part of the 12th century – until secular literature started in our writing. One of the preconditions of appearing such kind of literature was infatuation about Persian literature. We read in the book under review concerning this specificity of Georgian Renaissance:

„As we know there were a number of countries in the Middle Ages who had a very rich orally transmitted folklore and spiritual literature but could not develop secular literature. What was the reason of the fact that in Georgian secular literature developed? Firstly, this was determined by all means by cultural contacts of Georgia with both Christian Byzantium and Muslim countries. In spite of the fact that Georgians had absolutely different positions politically, religiously and ideologically, these differences had never been the reasons of war against these countries. Georgians in the late Middle Ages considered Persians the masters of the literature. (...) However, admiration for Persian Literature had never turned into a slavish imitation. On the contrary, Georgia became a mediator between Muslim East and Christian West“.

Creative adoption of the work of eastern literature helped Rustaveli’s poem be born, in which „East and West meet each other. According to the book under review „The worlds of Ferdowsi and Plato, Nizami of Ganja and Dionise of Areopaga encounter“. This fact will make “The Knight in the Panther’s Skin” as a literary phenomenon of an international value.

In the chapter titled „XIX century Georgian literature – part of world literature“, the most „European“ period of our writing is discussed – the epoch of Romanticism and of a critical Realism following it. The reader will learn about Georgian Romantic authors (Alexandre Chavchavadze, Grigol Orbeliani, Nikoloz Baratashvili) as well as realists (Ilia Chavchavadze, Vazha-Pshavela, Alexandre Kazbegi etc.).

The orientation of Georgian Romantics are obvious (generally, Romanticism is a European phenomenon!), however, Asian elements are present too in their literary works (especially, in the poetry of Alexandre Chavchavadze and Grigol Orbeliani), which is not surprising at all as the interest towards East by European Romantics is widely known.

Besides this, critical realism too was a very European literary direction. A vivid example of this is Ilia Chavchavadze's whole life and literary work, which was entirely devoted to the Europeanization of his mother-land.

In order to present Vazha-Pshavla's figure as a great figure and the significance of his literary creations to the contemporary world, the quotation of Donald Rayfield, an English Kartvelologist, is given: "Vazha-Pshavela is by far more significant author than anyone else in Georgia".

In the chapter titled "Georgian Modern" and partly in the next chapter – "Georgian Literature in the Soviet Period", the author writes about Tiflis Avant-garde and its international significance:

"In the 1910-20s artists and writers from all over the world gathered in Tbilisi. [...] It was absolutely vivid that Tbilisi was one of the Avant-gardist centers in southern-eastern Europe, Caucasus and Russia".

In this part the authors write about Georgian symbolists, futurists and dadaists, about their periodicals ("Blue Horns", H2SO4), Niko Pirosmani, Georgian Impressionism and Expressionism. As for the last chapter of the book, whose title is "Post-Soviet Georgian Literature Against Globalization" is a brief review of Georgian Post-modernism.

This publication will serve a good role of a guide-book on the international book-fair of Frankfurt in 2018, where Georgia will be presented with a status of an honored guest.